

№3- 64

21.07.2017

სურსათის ეროვნული სააგენტოს
უფროსის მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ გიორგი იაკობაშვილს

ბატონო გიორგი,

მადლობას მოგახსენებთ, ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე, 2015-2017 წლებში სუნელების ტყვიის შემცველობაზე შემოწმების შედეგების მოწოდებისათვის (წერილი N 09/7005), ასევე, იმ პროდუქტების სიის მოწოდებისათვის, რომლებშიც სეს-მა 2012-2017 წლებში ტყვიის გადაჭარბებული ოდენობა აღმოაჩინა (წერილი N 09/7036).

N 09/7005 წერილის დანართად მოწოდებული სია შეუსაბამობაში მოდის სეს-ის 2017 წლის 7 ივლისს გამოქვეყნებულ განცხადებაში მითითებულ მონაცემებთან. კერძოდ, განცხადების მიხედვით, სეს-მა 2017 წელს შეამოწმა 75 ნიმუში, ხოლო 2015 წელს -- 29 ნიმუში. ჩვენთვის მოწოდებულ სიაში კი შეტანილია 2017 წელს შემოწმებული მხოლოდ 59 ნიმუში, ხოლო 2015 წელს შემოწმებული მხოლოდ 14 ნიმუში.

ამასთანავე, განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ 2015 წელს სეს-მა 1 ნიმუშში აღმოაჩინა ტყვიის გადაჭარბებული შემცველობა, მაგრამ სიაში ამ დარღვევის შესახებაც არ არის მითითებული.

გთხოვთ განგვიმარტოთ, რითია ზემოაღნიშნული განსხვავებები გამოწვეული, ან დაზუსტებული მონაცემები მოგვაწოდოთ.

გარდა ამისა, N 09/7036 წერილის დანართად მოწოდებული სიიდან რიგ შემთხვევებში არ ჩანს თუ რა ზომებს მიმართა სეს-მა დაბინძურების მიზეზების გამოსაკვლევად. ეს ეხება ნიმუშებს სიითი ნომრებით 54-57 და 64. გთხოვთ დაგვიზუსტოთ, ჩატარდა თუ არა ამ შემთხვევებთან დაკავშირებით კვლევები დაბინძურების მიზეზების დასადგენად და რა შედეგით დასრულდა ისინი.

გთხოვთ მოთხოვნილი ინფორმაცია მოგვაწოდოთ Microsoft Excel ან Microsoft Word ფორმატში, ელექტრონული ფოსტის მისამართზე vakhtang@csrdg.ge.

პატივისცემით,



ვახტანგ კობალაძე

პროგრამის კოორდინატორი



საკითხს აშუქებს მომსახურებელი.გე

www.moxmarebeli.ge

